2012

პროფესიული უნარების ტესტი III

ინსტრუქცია

პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სწავლება და შეფასება, განვითარებისა და სწავლის თეორიები, პროფესიული გარემო.

ტესტში ოთხი ტიპის დავალებაა:

(1) **არჩევითპასუხიან დავალებებს** ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან *სწორია მხოლოდ ერთი.* დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

(2) **შესაბამისობის დავალება** ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

(3) **დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“** თქვენგან მოითხოვს მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენას. *გაითვალისწინეთ:* თუ დებულება მცდარია და მიუთითებთ პასუხს „მცდარია“, ეს დებულება აუცილებლად უნდა ჩაწეროთ სწორი (ჭეშმარიტი) ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას ვერ მიიღებთ.

(4) **დავალებები ღია დაბოლოებით** თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის ადეკვატური.

** თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა. ყველა სხვა ტიპის დავალება ერთქულიანია.*

652039

სამუშაოდ თქვენ გეძლევათ ტესტურ დავალებათა ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში მოცემულია დავალებათა პირობები და დატოვებულია თავისუფალი ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. **გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.**

<u>პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია</u>

არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს წარმოდგენილ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ, გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის თქვენ სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა და ამის შემდეგ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მეორე დავალებისთვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ დატოვებთ დანარჩენ უჯრებს ცარიელს, როგორც ეს მესამე დავალებისთვის არის ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით.



ღია დავალების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი; ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

<u>**პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.**</u>

დავალება №1

საშინაო დავალება სასწავლო პროცესის არსებითი ნაწილია. იგი არა მხოლოდ ცოდნის შეძენასა და გამყარებას უწყობს ხელს, არამედ ისეთ უმნიშვნელოვანეს უნარებსაც ავითარებს მოსწავლეებში, როგორიცაა დამოუკიდებლად სწავლა, კვლევა-ძიება და ა.შ. ერთმანეთისაგან განასხვავებენ საშინაო დავალების სამ ფორმას: პრაქტიკულ, მოსამზადებელ და გაღრმავების დავალებას.

აღწერილთაგან რომელი წარმოადგენს ***მოსამზადებელი*** დავალების ნიმუშს?

ა) მასწავლებელმა აუხსნა მოსწავლეებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები და დაავალა, გასცნობოდნენ აკაკისა და ვაჟას პოლემიკას ენის საკითხთან დაკავშირებით.

ბ) კონტინენტების შესწავლის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, მოეძიებინათ ინფორმაცია გლობალური დათბობის პირობებში ამ კონტინენტებზე კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით.

გ) შრომის გაკვეთილზე მასწავლებელმა მოსწავლეებს ქარგვა ასწავლა, რამდენიმე საცდელი ნიმუში შეასრულებინა და მოახლოებული დედის დღისათვის ცხვირსახოცზე ინიციალების მოქარგვა დაავალა.

დ) ხატვის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა კომპოზიციის მიხედვით ნატურმორტის დამოუკიდებლად დახატვა, რომ მომდევნო გაკვეთილზე განეხილა მათი ნამუშევრები და აეხსნა ნატურმორტის ხატვის ძირითადი პრინციპები.

დავალება №2

მასწავლებელი იწყებს ახალი მასალის განხილვას. იგი გეგმავს პლაკატის ტიპის თვალსაჩინოებისა და აუდიოჩანაწერის გამოყენებას.

მოსწავლეთა ორგანიზების რომელი ფორმაა ***ყველაზე მეტად*** მიზანშეწონილი ასეთ შემთხვევაში?

ა) საერთო საკლასო
ბ) წყვილური
გ) ჯგუფური
დ) ინდივიდუალური

დავალება №3

მასწავლებელმა კლასს განსახილველად მისცა ერთი ისტორიული მოვლენა, რომელიც მოსწავლეთა ნაწილმა შეაფასა როგორც პროტესტი, ხოლო დანარჩენებმა – როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აჯანყება. მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ ამ ორი ცნების არსი.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობაა ***ყველაზე ეფექტიანი*** ამ მიზნის მისაღწევად?

ა) მოსწავლეებმა შეადგინეს პროტესტისა და აჯანყების მაგალითების სია სხვადასხვა ისტორიული პერიოდიდან.

ბ) მოსწავლეებმა წაიკითხეს სტატია, რომელშიც აჯანყებისა და პროტესტის გამომწვევი მიზეზები იყო განხილული.

გ) მოსწავლეებმა ცხრილში განათავსეს პროტესტისა და აჯანყების დამახასიათებელი ნიშნები და შეადარეს ერთმანეთს.

დ) მოსწავლეებმა წაიკითხეს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოები.

დავალება №4

კარგად დასმული შეკითხვები ეხმარება მოსწავლეებს მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებაში, ხოლო მასწავლებელს – სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, პედაგოგმა წინასწარ მოამზადოს შეკითხვები და შეძლოს მათი სწორად ფორმულირება.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე მეტად** რომელი შეკითხვა დაეხმარება მოსწავლეებს შესასწავლი საკითხის უკეთ გააზრებაში?

ა) „რა შეგიძლიათ თქვათ XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების შესახებ?"

ბ) „რომელია ძუძუმწოვრების ჩამოთვლილ ნიშანთაგან ყველაზე არსებითი და რატომ?"

გ) „არ გგონიათ, რომ ამ ფორმულის მიხედვით ერთი ცვლადის გაზრდა გამოიწვევს მეორე ცვლადის შემცირებას?"

დ) „შედის თუ არა სპილენძი ლითონთა კლასში?"

652039

დავალება №5

სწავლის დაქვეითებული უნარის მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვისათვის აუცილებელია სასწავლო გეგმის ცვლილება (მოდიფიკაცია) მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, რაც დადებითად აისახება ასეთი მოსწავლისათვის შერჩეულ სასწავლო აქტივობებზეც.

ჩამოთვლილთაგან რა სახის ცვლილები **არ არის მიზანშეწონილი** ასეთ შემთხვევაში?

ა) **სასწავლო მასალის გამარტივება (**მაგალითად, თუ მოსწავლეს უჭირს ჩვეულებრივი სირთულის ტექსტების კითხვა, მასწავლებელი მათ ამარტივებს; ამარტივებს რთულ წინადადებებს, უცხო და რთულ სიტყვებს ცვლის სსსმ მოსწავლისთვის ნაცნობი სიტყვებით).

ბ) **სასწავლო მასალის ფორმის ცვლილება (**მაგალითად, ახალ ტექსტს, რომელიც სსსმ მოსწავლემ უნდა წაიკითხოს, მასწავლებელი მას აძლევს არა ნაწერის, არამედ თვალსაჩინო გამოსახულების, სიუჟეტური სურათების სახით).

გ) **სასწავლო საქმიანობისათვის განკუთვნილი დროის ცვლილება** (მაგალითად, მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს აძლევს მეტ დროს ტესტირების ან საკონტროლოს წერისას, ზრდის საშინაო დავალების შესრულებისათვის მიცემულ დროს).

დ) **თავისუფლების მინიჭება დავალებების შესრულებისას** (მაგალითად, მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს, მოსწავლეები მათ იწერენ რვეულში; სსსმ მოსწავლეს კი შეუძლია ამ დროს დაკავდეს მისთვის სასურველი საქმიანობით).

დავალება №6

კონკრეტულ თემაზე დისკუსიის მსვლელობისას ერთ-ერთმა მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება, რომლითაც ასცდა ძირითად თემას და დისკუსია სხვა მიმართულებით წაიყვანა.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის *ყველაზე ადეკვატური* ქმედება ამგვარ სიტუაციაში?

ა) მასწავლებელმა შეაქო მოსწავლე და მხარი დაუჭირა მის ინიციატივას, რითაც სხვა მოსწავლეებს ახლად წამოჭრილ საკითხზე აზრის თამამად გამოთქმისაკენ უბიძგა.

ბ) მასწავლებელმა უყურადღებოდ დატოვა მოსწავლის ინიციატივა და „დააბრუნა“ მსჯელობა დისკუსიის ძირითად თემასთან.

გ) მასწავლებელმა მოსაზრება საინტერესოდ მიიჩნია და მოსწავლეს მის მოგვიანებით განხილვას დაჰპირდა, კლასის ყურადღება კი დისკუსიის პირვანდელ საკითხზე გადაიტანა.

დ) მასწავლებელმა შენიშვნა მისცა მოსწავლეს თემიდან გადახვევის გამო და სხვებსაც შეახსენა, რაოდენ მნიშვნელოვანია კონცენტრაცია დისკუსიის ძირითად საკითხზე.

652039

დავალება №7

მასწავლებლის ეფექტიანი კომუნიკაცია მშობლებთან მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლისადმი, ზრდის ნდობის ხარისხს პედაგოგის მიმართ და მშობელთა ჩართულობას სკოლის საქმიანობაში. ამ კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფორმა პირისპირ საუბარია.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია **არ არის ეფექტიანი** მასწავლებლის მშობელთან პირისპირ საუბრის დროს?

ა) მშობელთან საუბრის დროს თავი აარიდეთ მოსწავლის მიღწევებისა და ქცევის ზოგად დახასიათებას. მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები.

ბ) დაუთმეთ მშობელს დრო და კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის რჩევა მასაც ჰკითხეთ.

გ) იმისათვის, რომ თქვენს საუბარს მეტი დამაჯერებლობა შესძინოთ, გამოიყენეთ პედაგოგიური ტერმინები და გაამყარეთ მსჯელობა ცნობილ ადამიანთა გამონათქვამებით.

დ) პრობლემის გამწვავების შემთხვევაშიც კი ნუ გააკეთებთ აქცენტს მშობლის პასუხისმგებლობაზე, ნუ დაადანაშაულებთ მას.

დავალება №8

კლასის სწორად მართვა და უდისციპლინო ქცევის პრევენციისაკენ მიმართული აქტივობები საშუალებას აძლევს პედაგოგს, ეფექტიანად წარმართოს სასწავლო პროცესი.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია/სტრატეგიები დაეხმარება პედაგოგს გაკვეთილზე კლასის ეფექტიანად მართვასა და მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის პრევენციაში?

I. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესწავლის საფუძველზე მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი დავალებების შერჩევა.

II. ბევრი სახალისო აქტივობისა და მრავალფეროვანი თამაშის გამოყენება, ამასთან, მოსწავლეთა შექება აქტიურობისათვის.

III. მოსწავლეთათვის პასუხისმგებლობის დელეგირება, მათი ჩართვა საკლასო გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი სწავლის მართვის პროცესში.

ა) მხოლოდ I და II

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ III

652039

დავალება №9

ცნობილია, რომ მოსწავლეების ადეკვატური თვითშეფასება დადებით გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მიღწევებზე.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედებაა **ნაკლებად ეფექტიანი** მოსწავლეებში ადეკვატური თვითშეფასების ჩამოსაყალიბებლად?

ა) მასწავლებელი მოსწავლის ნამუშევარს ინდივიდუალურად უკეთებს კომენტარებს, აძლევს რეკომენდაციებს და სთხოვს, გარკვეული დროის შემდეგ ხელახლა შეასრულოს ეს დავალება რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს პერიოდულად აძლევს შესავსებად თვითშეფასების ფორმებს, სემესტრის ბოლოს კი თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალურად განიხილავს თვითშეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

გ) მასწავლებელი თითოეული მოსწავლისათვის ადგენს შედეგების დიაგრამას და ურიგებს მათ, რათა გააანალიზონ, დაადგინონ, როდის ჰქონდათ წარმატებები, როდის – „ჩავარდნები“ და რატომ.

დ) მასწავლებელი კლასის წინაშე აღნიშნავს მოსწავლის წარმატებებს, ინდივიდუალურ პროგრესს, მოსწავლეებთან ერთად აანალიზებს ამ პროგრესის მიზეზებს და ურჩევს კლასს, რომ სხვებმაც გაითვალისწინონ ეს შედეგების გასაუმჯობესებლად.

დავალება №10

კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის აუცილებელია ხელშემწყობი საკლასო გარემოს შექმნა.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა/რჩევები დაეხმარება მასწავლებელს კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის ხელშემწყობი საკლასო გარემოს შექმნაში?

I. **იზრუნეთ მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებაზე** – მასწავლებელმა უნდა აგრძნობინოს მოსწავლეს, რომ პატივს სცემს მას, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებას.

II. **ნუ შეზღუდავთ მოსწავლეთა იმპულსურობას** – მასწავლებელმა არ უნდა აღკვეთოს მოსწავლეთა ნაჩქარევი პასუხები, რათა მათ საერთოდ არ გაუქრეთ პასუხის გაცემის სურვილი.

III. **იყავით ღია კრიტიკისათვის** – მასწავლებელი მზად უნდა იყოს მოსწავლეთა მხრიდან მისი პოზიციის შეფასებისათვის და არ მიაწოდოს მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრება, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტება.

ა) მხოლოდ I და II

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ III

დავალება №11

ქიმიის მასწავლებელი მეათეკლასელებთან გეგმავს ჯგუფურ სასწავლო პროექტს. ამისათვის მოსწავლეებმა უნდა მოიპოვონ ინფორმაცია სხვადასხვა ნივთიერებაზე და პრეზენტაციის დროს იმსჯელონ მათ შემადგენლობაზე, თვისებებსა და წარმოშობაზე.

რომელი ფორმით მიწოდებული დავალება გამოიწვევს *ყველაზე მეტად* მოსწავლეთა დაინტერესებას პროექტით?

ა) „გადანაწილდით სამ-ოთხ კაციან ჯგუფებად. თქვენ უნდა მოამზადოთ პროექტი. ამისათვის, თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია მოცემულ ნივთიერებებზე, დაადგინოს ამ ნივთიერებების ქიმიური შემადგენლობა, თვისებები და წარმოშობა.“

ბ) „ქიმია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. აუცილებელია ვიცოდეთ ჩვენ ირგვლივ არსებული საგნების ქიმიური შემადგენლობა. ჯგუფებში იმუშავებთ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს ნივთიერებების შემადგენლობაზე, თვისებებსა და წარმოშობაზე ინფორმაციის მოძიებას.“

გ) „გაინტერესებთ, რატომ მოგვდის ცრემლები ხახვის დაჭრის დროს? ამის ახსნას შეძლებთ, თუ გეცოდინებათ ამ მცენარის ქიმიური შემადგენლობა. თქვენ კიდევ ბევრ სხვა საინტერესო მოვლენას ახსნით მას შემდეგ, რაც განახორციელებთ პროექტს ნივთიერებების შემადგენლობის, თვისებებისა და წარმოშობის შესახებ.“

დ) „ალბათ გესმით, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი საბოლოო შეფასებისთვის ჯგუფურ პროექტსა და პრეზენტაციაში მიღებული ნიშანი. ამიტომ გთხოვთ, სერიოზულად მოეკიდოთ პროექტს ნივთიერებების შემადგენლობის, თვისებებისა და წარმოშობის შესახებ.“

დავალება №12

წაკითხულის გააზრებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტექსტის წაკითხვამდე მისი შინაარსის შესახებ ვარაუდების გამოთქმა სათაურის, ილუსტრაციების, ძირითადი ცნებების მიხედვით. სწორედ ვარაუდების გამოთქმაზეა აგებული მეთოდი *ტექსტის პაუზებით კითხვა.* ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ მხატვრული, სასწავლო, საინფორმაციო და სამეცნიერო-პოპულარული ტექსტის კითხვისას (მაგალითად, რაიმე მოვლენის/ექსპერიმენტის აღწერისას მოსწავლეებმა შეიძლება გამოთქვან ჰიპოთეზები მისი მიმდინარეობის შესახებ).

ჩამოთვლილთაგან ***ყველაზე მეტად*** რომელი რჩევის გათვალისწინება შეუწყობს ხელს პაუზებით კითხვის მეთოდის ეფექტიან გამოყენებას?

ა) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ძალიან მოკლე, მარტივი, ნაცნობი ლექსიკით და არ უნდა შეიცავდეს უცნობ ტერმინებს.

ბ) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ვრცელი, რათა იძლეოდეს შინაარსობრივად დასრულებულ ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობას.

გ) წასაკითხი ტექსტი უცნობი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის და პირობითად იმგვარად დაყოფილი, რომ აღძრავდეს მათში ცნობისმოყვარეობას.

დ) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ნაცნობი, რომ მოსწავლეებს არ გაუჩნდეთ შეცდომის დაშვების შიში და არ დაკარგონ ვარაუდების გამოთქმის სურვილი.

დავალება №13

იმისათვის, რომ შეფასება მაქსიმალურად ობიექტური და ინფორმაციული იყოს, მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს შეფასების სქემები. რომელი რეკომენდაციის/ რეკომენდაციების გათვალისწინებაა აუცილებელი შეფასების სქემის შედგენის დროს?

I. ჩართეთ მოსწავლეები სქემის შედგენაში. ამით მისცემთ საშუალებას, უფრო კარგად გაერკვნენ იმაში, თუ რას ითხოვენ მათგან და როგორ აფასებენ მათ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

II. ჩართეთ მშობლები სქემის შედგენაში. მათ უნდა იცოდნენ, რაში დაეხმარონ შვილებს, რაზე გაამახვილონ ყურადღება. ეს შეამცირებს შეფასებასთან დაკავშირებული პრეტენზიების რისკს.

III. ჩართეთ კოლეგები სქემის შედგენაში. ეს შეამცირებს შეფასების სუბიექტურობის რისკს. უზრუნველყოფს მსგავსი ნამუშევრების იდენტურად შეფასებას და სანდოობის მაღალ ხარისხს.

ა) მხოლოდ I და II

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ III

652039

დავალება №14

აქტიური მოსმენა ეფექტიანი კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა. იმისათვის, რომ მოსწავლეებს მოსმენის უნარი განუვითარდეთ, მასწავლებელი თავად უნდა იყოს კარგი მსმენელის მოდელი.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა **ვერ დაეხმარება** მასწავლებელს იყოს კარგი მსმენელი?

ა) საწყის ეტაპზევე გაუზიარეთ მოსაუბრეს თქვენი შეხედულებები მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე, გამოთქვით ვარაუდები. ეს გაგიადვილებთ მოსაუბრის სუბიექტური რეალობის გაგებას.

ბ) მოსაუბრის სათქმელის დაზუსტების მიზნით დასვით არადირექტიული შეკითხვები, რაც მას მისცემს საშულებას, უკეთ ჩამოაყალიბოს საკუთარი სათქმელი.

გ) მოუსმინეთ მოსაუბრეს ანალიზისა და შეფასების გარეშე, თქვენი მოკლე გამოხმაურებით („დიახ“, „მესმის“ და სხვ.) მიეცით სტიმული, ბოლომდე გამოთქვას სათქმელი.

დ) თუ მოსაუბრეს არ ეთანხმებით, უმჯობესია, ჯერ შეაჯამოთ მისი ნათქვამი და მხოლოდ შემდეგ გამოთქვათ კონტრარგუმენტები. ამით თქვენი უკუკავშირი უფრო ეფექტიანი იქნება.

დავალება №15

მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას ხელს უწყობს გარემო, რომელშიც ისინი თავს მასწავლებლის პარტნიორებად და სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად გრძნობენ. პასუხისმგებლობის დელეგირება სწორედ ამგვარი გარემოს შექმნის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოსწავლეებზე პასუხისმგებლობის ***ყველაზე მაღალი ხარისხით*** დელეგირების მაგალითი?

ა) საკითხის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს რამდენიმე რთულ ამოცანას და აძლევს საშუალებას, ამოირჩიონ ერთ-ერთი, მათთვის ყველაზე მეტად მიმზიდველი.

ბ) მასწავლებელი ჯგუფებს დასამუშავებლად ურიგებს ტექსტის ნაწილებს. შემდეგ ჯგუფებს ავალებს ინფორმაციის გაცვლას და ტექსტის ერთიანობის აღდგენას.

გ) მასწავლებელი მოსწავლეთა წყვილებს აძლევს წასაკითხად საინფორმაციო ტექსტს, ისინი ამზადებენ შეკითხვებს და ამოწმებენ, რამდენად კარგად გაიგეს წაკითხული.

დ) მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს პრობლემათა ჩამონათვალს, მოსწავლეები ირჩევენ მათთვის ყველაზე აქტუალურს და ახორციელებენ ამ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ ჯგუფურ პროექტს.

652039

დავალება №16

სასწავლო მიზნების ფორმულირების რომელი პრინციპის/პრინციპების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი ეფექტიანი სასწავლო გეგმის შემუშავებისათვის?

I. **მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის პერსპექტივიდან.** მასწავლებლის მიერ შემუშავებული გეგმა ეფექტიანია, თუკი მისი მიზანია მოსწავლეების ცოდნასა და უნარებში კონკრეტული პოზიტიური ცვლილებების მიღწევა.

II. **სასწავლო მიზნები უნდა იყოს გეგმის ათვლის საწყისი წერტილი.** სასწავლო გეგმის შემუშავებისას საბოლოო მიზნის ფორმულირების შემდეგ მასწავლებელი „უკუსვლით", ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აყალიბებდეს ამ მიზნის მიღწევის დეტალურ გეგმას.

III. **სასწავლო მიზნები უნდა იყოს გლობალურ ცოდნაზე ორიენტირებული.** მაქსიმალურად ზოგადი სასწავლო მიზნები მასწავლებელს საგაკვეთილო მიზნების ცვლილებისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მათი მორგების საშუალებას მისცემს.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

დავალება №17

მოსწავლის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქვს მას გაცნობიერებული, რა და როგორ ისწავლა, ანუ რამდენად ფლობს სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს. მეტაკოგნიცია, ანუ „აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ" მოსწავლეს სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და სწავლის პროცესის სწორად მართვაში ეხმარება.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობაა **ნაკლებად ეფექტიანი** მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარის განვითარებისათვის?

ა) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს სწავლების კონკრეტული სტრატეგიის გამოყენების მაგალითებს. ისინი მსჯელობენ, როგორ, როდის და რომელ სიტუაციაშია მისი გამოყენება მიზანშეწონილი.

ბ) მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ახალ სტრატეგიებს (ჩანაწერების გაკეთებას, ინფორმაციის ორგანიზებას და სხვ.) და მოსწავლეები ასრულებენ დავალებას მათ მიერ შერჩეული სტრატეგიის გამოყენებით.

გ) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, სხვადასხვა სტრატეგია გამოიყენონ განსხვავებულ სიტუაციებში და შემდეგ გააანალიზონ, რომელი სტრატეგიის გამოყენების დროს გაიგეს და დაიმახსოვრეს უკეთ მასალა.

დ) მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს რომელიმე სტრატეგიას, აღწერს მისი გამოყენების წესს და კონკრეტული მაგალითებით უსაბუთებს მათ ამ სტრატეგიის გამოყენების მნიშვნელობას.

652039

დავალება №18

ბავშვების სოციალურ განვითარებაზე ერთობლივად უნდა ზრუნავდნენ მასწავლებლებიც და მშობლებიც. ამ საკითხში მათი თანამშრომლობა ერთმანეთისათვის რჩევების მიცემითაც შეიძლება გამოიხატოს.

მშობლისათვის მიცემული რომელი რჩევაა **ნაკლებად ეფექტიანი** ბავშვის სოციალური უნარების განვითარების ხელშესაწყობად?

ა) ხშირად ჩაერთეთ თამაშებში შვილებთან ერთად, მაგრამ ნუ ეცდებით დომინირებასა და მათთვის შენიშვნების მიცემას.

ბ) შვილებთან ერთად განიხილეთ პრობლემები, რომლებიც მათ შეექმნათ ურთიერთობებში და მხარი დაუჭირეთ პრობლემის გადაჭრის მეგობრულ გამოსავალს.

გ) აქტიურად ჩაერიეთ ბავშვებს შორის ურთიერთობების დროს შექმნილი პრობლემების მოგვარებაში, ამისათვის გამოიყენეთ თქვენი გამოცდილება.

დ) ხშირად მოუწყვეთ ბავშვებს გართობა-დასვენება თანატოლებთან ერთად და მიეცით საშუალება, დაპატიჟონ სახლში მეგობრები.

დავალება №19

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება და თემის მიმართ ინტერესის აღძვრა.

აქტივობა: ქიმიის მასწავლებელმა ახალი მასალის განხილვა მოსწავლეებთან ფულის შესახებ საუბრით დაიწყო. ყურადღება გაამახვილა სიტყვებზე „ლარი“ და „სალარო“. მათი ეტიმოლოგია სუფრის მარილის ლათინურ სახელწოდებას – „სოლარესს“ – დაუკავშირა და თანდათან მიუახლოვდა გაკვეთილის თემას – „მარილებს“.

მასწავლებლის აქტივობა მიზნის:

ა) **არაადეკვატურია**, რადგან არ არის მიზანშეწონილი მოსწავლეების ყურადღების გადატანა ასახსნელ საკითხთან დაუკავშირებელ თემაზე.

ბ) **ადეკვატურია**, რადგან მასწავლებელმა მოსწავლეთა ინტერესი აღძრა მაპროვოცირებელი საკითხით და დაუკავშირა ის გაკვეთილის ძირითად თემას.

გ) **არაადეკვატურია**, რადგან საგაკვეთილო დროის არამიზნობრივად გამოყენება ხელს უშლის გაკვეთილის ძირითადი თემის სიღრმისეულ წვდომას.

დ) **ადეკვატურია**, რადგან ხელს უწყობს საკითხის ღრმად გააზრებას და შესასწავლი თემის მნიშვნელობაზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილებას.

652039

დავალება №20

მასწავლებლის მართვის სტილი გავლენას ახდენს მოსწავლეთა ქცევაზე, სწავლის მიმართ მათ დამოკიდებულებასა და, ზოგადად, მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე. მართვის სხვადასხვა სტილს შეიძლება მოჰყვეს განსხვავებული შედეგები.

ცხრილის A სვეტში აღწერილ შედეგებს შეუსაბამეთ B სვეტში მოცემული მართვის სტილი.

დასაშვებია, რომ B სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთი პასუხი სწორი იყოს A სვეტში მოცემული ერთზე მეტი პირობისათვის.

მოსალოდნელი შედეგები (A)	მართვის სტილი (B)
I. მოსწავლეები გამოირჩევიან თავისუფლებისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, შეუძლიათ თანამშრომლობაც, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას უფრო ხშირად მაინც საკუთარი შეხედულებისამებრ იღებენ.	ა) ავტორიტარული ბ) ლიბერალური გ) დემოკრატიული დ) ქაოსური
II. მოსწავლეები არიან ორგანიზებულები, თუმცა ნაკლებად აქვთ განვითარებული შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, უჭირთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.	
III. მოსწავლეები გახსნილები არიან ურთიერთობებში, თუმცა უჭირთ საკუთარი გრძნობების მართვა, ახასიათებთ იმპულსურობა და არაორგანიზებულობა.	

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში.

(*შენიშვნა: პირველი აქტივობის შესაბამისი პასუხი უკვე ჩაწერილია ცხრილში*)

✍ *ჩაწერეთ:*

მოსალოდნელი შედეგები (A)	I	II	III
მართვის სტილი (B)	ბ		

652039

დავალება №21

მაქსიმალური ქულა – 4

სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი, საინტერესო და უფრო შედეგიანი ხდება. სწავლების თანამედროვე მეთოდები ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, მოითხოვს მათგან ინიციატივის გამოვლენას და ხელს უწყობს სააზროვნო პროცესების გააქტიურებას. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია **როლური თამაში,** რომელიც გულისხმობს რომელიმე კონკრეტული პრობლემის გასააზრებლად ცხოვრებისეული სიტუაციის იმიტირებას/გათამაშებას.

– აღწერეთ როლური თამაშის (ა) **მოსამზადებელი** და **(ბ) შემაჯამებელი ეტაპებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები,** რომლებიც დაეხმარება პედაგოგს მეთოდის ეფექტიანად გამოყენებაში.

– განმარტეთ, რა შემთხვევაშია ეფექტიანი როლური თამაშის გამოყენება. პასუხი დაასაბუთეთ.

ჩაწერეთ:

დავალება №22

მაქსიმალური ქულა – 4

პრობლემის გადაჭრის უნარი მოსწავლეთა წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი ეხმარება მათ რთული სიტუაციების გაანალიზებასა და ამ სიტუაციებიდან საუკეთესო გამოსავლის მოძიებაში. პრობლემის გადაჭრის უნარი არა მარტო უფრო ეფექტიანსა და მოქნილს ხდის მოსწავლეთა აზროვნებას, არამედ ხელს უწყობს ცვალებად, ზოგჯერ წინააღმდეგობრივ გარემოსთან მათ ადაპტაციას.

- აღწერეთ ორი პრაქტიკული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს **პრობლემის გადაჭრის უნარის** განვითარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიების ადეკვატურობა პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებისათვის.

✍ ჩაწერეთ:

დავალება №23

მაქსიმალური ქულა – 3

სამოქალაქო განათლების გაკვეთილის თემაა „თავისუფლება". მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად იმსჯელეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას შორის მიმართებაზე. დასასრულს პედაგოგმა მოსწავლეებს დაავალა, დაეწერათ ესეი: *რა კავშირია პიროვნების თავისუფლებასა და ერის, ქვეყნის თავისუფლებას შორის*; გამოეხატათ საკუთარი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, მსჯელობაში გამოეყენებინათ მაგალითები თანამედროვეობიდან და წარსულიდან.

– აღწერეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის მოსალოდნელი დადებითი შედეგები. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალებები №24–28 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

დამწყები პედაგოგების პროფესიულ განვითარებაში მნიშვნელოვანია მენტორის როლი. ჩვეულებრივ, მენტორი კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგია. დიდწილად მასზეა დამოკიდებული, რა გამოცდილებას შეიძენს ახალბედა მასწავლებელი და როგორი განწყობა ჩამოუყალიბდება საკუთარი პროფესიის მიმართ.

წარმოიდგინეთ, რომ მენტორის ფუნქცია თქვენ დაგეკისრათ. სკოლაში მასწავლებლობის სამი მაძიებელია, რომელთაც უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღეს და თქვენთან იძენენ გამოცდილებას. **მაძიებლობის პერიოდში** მათ უკვე მოსინჯეს სწავლების სხვადასხვა მეთოდი, კლასის მართვის სტრატეგიები და გამოსცადეს კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობის პირველი სირთულეები.

დამწყები მასწავლებლები თქვენ, მენტორ პედაგოგს, ხშირად მოგმართავენ კითხვებით. ახალგაზრდები გულწრფელად, დაუფარავად გიზიარებენ საკუთარ პრობლემებს, გთხოვენ რჩევებს. მაძიებლებისაგან ხშირად იღებთ ელექტრონულ წერილებსაც.

ქვემოთ მოცემულია მაძიებელ მასწავლებელთა ელექტრონული წერილები. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მასში აღწერილი პრობლემის არსი. აღწერეთ, **რა რჩევას მისცემდით მომავალ მასწავლებელს, რა გზით შეიძლება დასმული პრობლემების მოგვარება. შეეცადეთ, პასუხი იყოს კონკრეტული და არგუმენტირებული.**

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **აღწერეთ** ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც დაეხმარება ახალბედა პედაგოგს წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- **დაასაბუთეთ** თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.

652039

დავალება №24 მულტიკულტურული ურთიერთობა



From: Tamar Dvali [tdvali@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: მულტიკულტურული ურთიერთობა

მერვე კლასში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლე მყავს. გონიერი ბიჭია, კარგადაც სწავლობს, მაგრამ აშკარად ვატყობ, რომ კლასისაგან გარიყულია, თითქოს გაუცხოებულია. ამას წინათ ბავშვები ექსკურსიაზე წავიყვანე და იქ კიდევ უფრო ნათლად დავინახე კლასელების გულცივი დამოკიდებულება მის მიმართ. ბევრი მსმენია მულტიკულტურული ურთიერთობების, ტოლერანტობის მნიშვნელობაზე, მაგრამ კონკრეტულად რა გავაკეთო, არ ვიცი. მოსწავლეებს ხომ ვერ დავაძალებ მასთან მეგობრობას?

პატივისცემით

თამარი

დავალება №25

შეფასების შედეგების გამოყენება პროფესიული განვითარებისათვის



From: Nino Lomidze [lomidze_nino@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: შეფასების შედეგების გამოყენება პროფესიული განვითარებისათვის

ამ რამდენიმე დღის წინ სამასწავლებლოში იმაზე საუბრობდნენ, როგორ იყენებენ მოსწავლეთა შეფასების შედეგებს მათი მიღწევების გაუმჯობესებისათვის. ერთ-ერთმა პედაგოგმა თქვა, მოსწავლეთა შედეგები პროფესიულ განვითარებაშიც მეხმარებაო. არ დაუკონკრეტებია, როგორ, მე კი მომერიდა, ჩავძიებოდი და საკითხი ჩემთვის ბუნდოვანი დარჩა.

თქვენი რჩევა მჭირდება, როგორ გამოვიყენო ეს შედეგები ჩემი პროფესიული განვითარებისათვის?

ბოდიში, რომ გაწუხებთ.

ნინო

დავალება №26 სწავლის მოტივაციის აღძვრა



სწავლის მოტივაციის აღძვრა - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Nino Lomidze [lomidze_nino@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: სწავლის მოტივაციის აღძვრა

გუშინ ნატას დედისაგან წერილი მივიღე, დახმარებას მთხოვს. შეშფოთებულია შვილის ბოლოდროინდელი საქციელით: უცნაურად იცვამს, ჩუმად ტატუ გაიკეთა, სწავლაზე გული აიცრუა და გაცდენებსაც მოუხშირა. როგორც ჩანს, ამის გამო დედა-შვილს ხშირი კონფლიქტი აქვს. მშობელი განსაკუთრებით იმაზე ღელავს, რომ გამოცდებზე ნატას შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას.

რადგან ასაკით მისი შვილისაგან დიდად არ განვსხვავდები, დედას იმედი აქვს, რომ ნატასთან საერთო ენას გამოვნახავ და სწავლისაკენ შემოვაბრუნებ. მე კი სწორედ ჩემი ასაკი და გამოუცდელობა მაფიქრებს, ამიტომაც თქვენ მოგმართავთ, იქნებ რაიმე კონკრეტული რჩევა მომცეთ, როგორ დავუბრუნო ნატას სწავლის ინტერესი.

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას.

ნინო

დავალება №27 განმავითარებელი კომენტარი



განმავითარებელი კომენტარი - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Teona Eliava [teoeliava@gmail.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: განმავითარებელი კომენტარი

მოსწავლეთა შეფასებას ძალიან დიდ დროსა და ენერგიას ვუთმობ, საშინაო დავალებებს გასწორების გარეშე არ ვტოვებ. წამახალისებელ კომენტარებსაც ვურთავ (მაგ.: „ყოჩაღ!", „მეტი შეგიძლია"). ზეპირი პასუხის დროსაც ხაზგასმით აღვნიშნავ მათ შესაძლებლობებს, მაგრამ იმასაც ხშირად ვახსენებ, რომ უკეთესი შედეგების მისაღწევად მეტი მონდომებაა საჭირო. შედეგების გაუმჯობესებას მაინც ვერ მივაღწიე. როცა ერთ-ერთმა მოსწავლემ ისევ დაბალი შეფასება მიიღო, ჩემს საყვედურზე საყვედურით მიპასუხა: სულ ვსწავლობ, ვსწავლობ და ვერ გავიგე, რა არ მოგწონთო.

მაინტერესებს, როგორი კომენტარი მივაწოდო, რომ წინსვლაში ხელი შევუწყო. იქნებ რამე მირჩიოთ.

დიდი მადლობა.

თეონა

652039

დავალება №28 თანამშრომლობითი სწავლება



From: Tamar Dvali [tdvali@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: თანამშრომლობითი სწავლება

ბოლო რამდენიმე გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი გამოვიყენე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მეთოდი მნიშვნელოვანია მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების გასავითარებლად. თუმცა, ჩემდა გასაკვირად, მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებმა მის მიმართ უკმაყოფილება გამოხატეს. როგორც მათგან გავიგე, ინდივიდუალურად ან მათივე დონის მოსწავლეებთან ერთად ურჩევნიათ მუშაობა. ძალიან მინდა, რომ თანამშრომლობითი სწავლება კვლავაც აქტიურად გამოვიყენო ჩემს კლასში.

ხომ ვერ მირჩევდით, როგორ გამოვიყენო სწავლების ეს მეთოდი ისე, რომ ამგვარი პრობლემები არ შეიქმნას.

პატივისცემით
თამარი

ყოველი დავალებისათვის (№24-28) განკუთვნილ არეში **აღწერეთ მასწავლებლის ერთი *კონკრეტული* აქტივობა/სტრატეგია,** რომელიც იქნება ახალბედა მასწავლებლის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზა. **დაასაბუთეთ,** თუ რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

დავალება №24

დავალება №25

დავალება №26

652039

დავალება № 27

დავალება №28

დავალება №29

მასწავლებელმა კლასს ამოსახსნელად მისცა ამოცანა, რომელსაც ერთ-ერთმა მოსწავლემ თავი ვერ გაართვა.

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, მასწავლებლის რომელი ქმედება იქნება „ხარაჩოს“ გამოყენების მაგალითი ასეთ შემთხვევაში?

ა) შეურჩიოს მოსწავლეს უფრო მარტივი დავალება.
ბ) მისცეს მოსწავლეს საშუალება, დავალება სახლში შეასრულოს.
გ) დაეხმაროს მოსწავლეს მინიშნებებით დავალების შესრულებაში.
დ) დაავალოს მოსწავლეს იმავე საკითხზე მსგავსი ამოცანის შესრულება.

დავალება №30

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება/დებულებები ასახავს სწავლების **კონსტრუქტივისტული თეორიის** ძირითად პრინციპს?

I. სწავლა მიზანმიმართული პროცესია. მასწავლებელი ზუსტად უნდა მიჰყვეს წინასწარ შემუშავებულ სასწავლო გეგმას და კონკრეტული საკითხისთვის განსაზღვრულ მასალას.
II. სწავლა მნიშვნელობის ძიების პროცესია, შესაბამისად, მასწავლებელმა ისე უნდა ააგოს სასწავლო პროცესი, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლეთა მიერ საკითხის გაგება-გააზრებას.
III. სწავლა სოციალური პროცესია, შესაბამისად, მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აქტიურ ინტერაქციას.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

652039

დავალება №31

ქართულის მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნა მხატვრული ხერხი გაპიროვნება, რომელიც გულისხმობს უსულო საგნებზე სულიერის თვისებების გადატანას. მას აინტერესებს, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს მიღებული ცოდნის რეალურ სიტუაციაში გამოყენება.

ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, რომელი დავალება შეესაბამება *გამოყენების* დონეს?

მასწავლებელმა მოსწავლეებს:

ა) დაავალოს მოთხრობის წაკითხვა და გაპიროვნების ყველა მაგალითის მონიშვნა.
ბ) სთხოვოს, შეადგინონ წინადადება, რომელშიც უსულო საგანს გაასულიერებენ.
გ) სთხოვოს, განსაზღვრონ, ორი წინადადებიდან რომელია გაპიროვნების მაგალითი.
დ) სთხოვოს, ახსნან უსულო საგნების გასულიერების მხატვრული ფუნქცია ტექსტში.

დავალება №32

ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელშია მართებულად წარმოდგენილი **მონტესორის** შეხედულება სასწავლო პროცესში მასწავლებლის როლის შესახებ?

ა) ბავშვებს აქვთ ბუნებრივი სწრაფვა ახლის სწავლისა და გარემოს შემეცნებისადმი, ამიტომ მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი საკლასო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს ბავშვის ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას.
ბ) ბავშვები თავისთავად ზარმაცები და ცელქები არიან, მათი სწავლის პროცესის ეფექტიანობისა და ქცევითი პრობლემების პრევენციისათვის მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მათ სწორად მოქცევის წესები და ამ პროცესში ჩართოს მშობლები.
გ) ბავშვებს სუსტი ნებისყოფა აქვთ, უჭირთ ყურადღების კონცენტრირება, ამიტომ მასწავლებელმა ასაკის შესაბამისი მასალითა და განმავითარებელი თამაშებით უნდა მიიზიდოს მოსწავლეთა ყურადღება.
დ) ბავშვის ინტერესები და სწავლისადმი დამოკიდებულება სოციალური გარემოს ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. მასწავლებლის დანიშნულებაა, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც მოსწავლეს სასურველი მიმართულებით განავითარებს.

652039

დავალება №33

მასწავლებელმა დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ასეთი დავალება მისცა:

„ბავშვებო, ყურადღებით გაეცანით წარმოდგენილ ცხრილს. შეეცადეთ ამოიცნოთ, რა პრინციპით აქვს მინიჭებული ჯიხვს, მარგორქას და დათვს შესაბამისი რიცხვები. იმავე პრინციპის გამოყენებით მიანიჭეთ ხარს შესაბამისი რიცხვი და ჩაწერეთ ცარიელ უჯრაში“.

			
2	1	0	

ჩვეულებრივ, განვითარების რომელ სტადიაზე/სტადიებზე მყოფი ბავშვები დაძლევენ მოცემულ ამოცანას?

I. ოპერაციამდელ სტადიაზე
II. კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე
III. ფორმალური ოპერაციების სტადიაზე

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ II და III
დ) მხოლოდ III

დავალება №34

მშობლებმა ლევანი ახალ სკოლაში გადმოიყვანეს. ის მორიდებულია და, სურვილის მიუხედავად, ვერ მოახერხა თანაგოლებთან დამეგობრება, საკუთარ თავში ჩაიკეტა. ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, როცა საკლასო ოთახში შესულს მაგიდაზე საჩუქარი დახვდა წარწერით: „დაბადების დღეს გილოცავთ! შენი თანაკლასელები“.

მასლოუს თეორიის მიხედვით, რომელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეუწყობს ხელს *ყველაზე მეტად* თანაკლასელების ამგვარი ქცევა?

ა) მიკუთვნებულობისა და სიყვარულის
ბ) თვითპატივისცემისა და აღიარების
გ) თვითაქტუალიზაციის
დ) ფიზიკური უსაფრთხოების

დავალება №35

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, მოსწავლის კოგნიტური განვითარების შესახებ რომელი დებულება/ დებულებებია მართებული?

I. სწავლება წარმატებულად რომ წარიმართოს, აუცილებელია იმის ცოდნა, კოგნიტური განვითარების რა დონეზე იმყოფება მოსწავლე და ორიენტაცია ავიღოთ განვითარების უახლოეს ზონაზე.
II. მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას ხელს უწყობს თანმიმდევრობით ისეთი სირთულის დავალებების მიცემა, რომელთა დაძლევაც მას დამოუკიდებლად შეუძლია.
III. მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას ხელს უწყობს ისეთი დავალებები, რომელთა შესრულებას იგი მხოლოდ სხვებთან ურთიერთობითა და მათი დახმარებით შეძლებს.

ა) მხოლოდ II
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ III
დ) მხოლოდ I და II

დავალება №36

ლაშქრობაზე წასასვლელად ბავშვები 10-10 ლარს აგროვებდნენ. გიორგიმ დედა მოატყუა და უთხრა, რომ 15 ლარი სჭირდებოდა. მოგვიანებით მან დას გაუმხილა, რომ დედას 5 ლარით მეტი გამოართვა, რათა ჯიბის ფული დარჩენოდა.

კოლბერგის მიხედვით, რომელია გიორგის დის ყველაზე სავარაუდო რეაქცია, თუკი იგი მორალური განვითარების **კონვენციურ საფეხურზეა**?

ა) შეთანხმდება გიორგისთან, რომ თუ ძმა მასაც გაუნაწილებს დარჩენილ თანხას, ის დედას ამის შესახებ არაფერს ეტყვის.
ბ) ეტყვის დედას სიმართლეს, რადგან შეეშინდება, რომ შეიძლება ისიც დაისაჯოს, თუ გიორგის ტყუილი გამჟღავნდება.
გ) ეტყვის დედას სიმართლეს, რადგან არ შეიძლება მშობლის მოტყუება – დედის მოტყუება ცუდი საქციელია.
დ) დაარწმუნებს ძმას, დედას სიმართლე უთხრას, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, ტყუილი რომ არ გამჟღავნდეს, სინდისის ქენჯნას ვერ გაექცევა.

652039

დავალება №37

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებება/დებულებები ასახავს **ბიჰევიორისტული თეორიის ძირითად პრინციპს**?

I. შეუძლებელია ადამიანის შინაგან სამყაროზე დაკვირვება, ამიტომ მისი ფსიქიკური პროცესების შესახებ მსჯელობა უნდა დაეფუძნოს გარემოდან წამოსულ სტიმულებსა და მათზე საპასუხო რეაქციებს.

II. ადამიანი წარმოადგენს „სუფთა დაფას", რომელსაც არ გააჩნია თანდაყოლილი მიდრეკილება კონკრეტული ქცევის/ქცევებისაკენ. ადამიანი ყალიბდება გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

III. ფსიქიკის ჩამოყალიბებას გენეტიკური ფაქტორები განსაზღვრავს და მასზე გარემო ფაქტორებს არ აქვთ გავლენა. შესაბამისად, ფსიქიკური პროცესების ახსნა გენეტიკური ფაქტორებით არის შესაძლებელი.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ I და III

დ) მხოლოდ III

დავალება №38

უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს, ესენია: **ექსტეროგენური ქცევა** და **ინტროგენური ქცევა**.

ჩამოთვლილთაგან რომელია *ექსტეროგენური ქცევის* მაგალითი?

ა) გიორგი ზაფხულში მიეხმარა მამას, რომელიც მშენებლობაზე მუშაობდა, რათა გამომუშავებული თანხით სასურველი მობილური ტელეფონი შეეძინა.

ბ) ნიკო, მშობლების საყვედურების მიუხედავად, ძალიან დიდ დროს უთმობს ფილმების ყურებას. მას განსაკუთრებით უყვარს ფილმები ხელოვანთა ცხოვრების შესახებ.

გ) დათომ ამ ბოლო დროს სწავლას მოუკლო, რადგან მთელი დღის განმავლობაში ფეხბურთს თამაშობს, რომელიც მას ყველაფერს ურჩევნია.

დ) ანოს ძალიან მოსწონს კომპიუტერული თამაშები, იმდენად, რომ მისი საშინაო დავალების რვეული ამ თამაშებიდან გადმოტანილი ნახატებით არის აჭრელებული.

დავალება №39

როჯერსის ჰუმანისტური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა „თვითაქტუალიზაციის ტენდენცია“, რომელიც ასახავს ადამიანის სწრაფვას განვითარებისა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენისკენ.

როჯერსის თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რომელია **ნაკლებად ეფექტიანი** მოსწავლის თვითაქტუალიზაციისათვის?

ა) **გაგება** – უფროსს უნდა შეეძლოს მოზარდის თვალით შეხედოს სამყაროს. ემპათიურ გარემოში მოზარდი თავს კომფორტულად და უსაფრთხოდ გრძნობს.

ბ) **უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება** – მოზარდი საკუთარ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოავლენს, როცა გრძნობს მხარდაჭერას, დადებით დამოკიდებულებას.

გ) **შეგონება** – უფროსი ყოველთვის უნდა რეაგირებდეს მოსწავლის ქცევებზე და აძლევდეს საჭირო დარიგებებს, რომ ბიძგი მისცეს სწორი მიმართულებით ბავშვის განვითარებას.

დ) **გულწრფელობა** – მოზარდი მაქსიმალურად გახსნილი და გულწრფელია უფროსის მიმართ, როცა გრძნობს უფროსის ანალოგიურ დამოკიდებულებას.

652039

დავალება №40

მაქსიმალური ქულა – 3

ბუნების მასწავლებელმა მეხუთეკლასელებისთვის ახალი თემის - *ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობები* - შესწავლის პროცესი შემდეგნაირად წარმართა:

მასწავლებელმა მოსწავლეებს საშინაო დავალება მისცა: ქილაში ჩაასხით ცხელი წყალი 2-3 სმ-ის სიმაღლეზე. ქილას დაახურეთ თუნუქის თავსახური და მასზე ყინულის რამდენიმე კუბი მოათავსეთ. ყურადღებით დააკვირდით, რა მოხდება, აღწერეთ დაკვირვების შედეგები და გააკეთეთ დასკვნა.

მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელმა განიხილა მოსწავლეთა დაკვირვების შედეგები და ახალი თემაც ახსნა.

შემდეგ პედაგოგმა მოსწავლეებს მულტფილმი „მე წვიმად მოვალ“ უჩვენა. მულტფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს ფილმის გმირების ისტორიის მოყოლა და თხრობის პროცესში ახლად ნასწავლი ცნებების – დნობა, აორთქლება და კონდენსაცია – გამოყენება სთხოვა.

მოსწავლეებმა დავალებას წარმატებით გაართვეს თავი.

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია **ბრუნერის თეორიაზე** დაყრდნობით.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- დაასახელეთ მიდგომა, რომელიც მასწავლებელმა გამოიყენა მოცემულ სიტუაციაში. განმარტეთ ამ მიდგომის დადებითი ეფექტები.
- აღწერეთ გამოყენებული მეთოდის წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ორი ფაქტორი. პასუხი დაასაბუთეთ.

ჩაწერეთ:

ყურადღებით გაეცანით წარმოდგენილ სიტუაციებს და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, საკმარისია, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში რაიმე კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ.
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში **თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორად – მოქმედი კანონის შესაბამისად.**

დავალებები №41– 45 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

„ერთ-ერთი მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლის მშობელმა სკოლის სამეურვეო საბჭოში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა, მაგრამ მას უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ სამეურვეო საბჭო უკვე სრულად იყო დაკომპლექტებული, სკოლის მცირეკონტინგენტიანობის გამო კი საბჭოს წევრთა რაოდენობა არ შეიძლება ყოფილიყო 8-ზე მეტი. მშობელი დაინტერესდა არსებული შემადგენლობით და გაარკვია, რომ საბჭოში შეყვანილი ჰყავთ ერთი წევრი თავდაცვის სამინისტროდან და ერთიც – უფროსკლასელი მოსწავლე. ამასთან, არასრულად არის წარმოდგენილი მშობელთა კონტინგენტი – სკოლაში მხოლოდ ერთი მე-6 კლასია და მისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში არ არის. საბჭოს შემადგენლობაში ასევე თითო წარმომადგენელია განათლების სამინისტროდან და ადგილობრივი თვითმმართველობიდან. მშობელმა განათლების სამინისტროს მიმართა საჩივრით, რომელშიც ის მოითხოვდა სამეურვეო საბჭოში თავისი კანდიდატურით უფროსკლასელი მოსწავლის ჩანაცვლებას.“

41. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა მცირეკონტინგენტიან სკოლაში არ უნდა აღემატებოდეს რვას.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

42. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, სამეურვეო საბჭოში დანიშნოს ერთი წევრი.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

43. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სავალდებულოა სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში იყოს თავდაცვის სამინისტროს ერთი წარმომადგენელი.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

44. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მცირეკონტინგენტიან სკოლაში აუცილებელია, მშობელთაგან არჩეული წევრები თანაბრად წარმოადგენდნენ თითოეულ საფეხურს.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

45. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

დავალებები №46– 50 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

მერვეკლასელებმა გადაწყვიტეს ვალენტინობის აღნიშვნა – კლასელებისათვის საჩუქრების მომზადება და კლასის მორთვა დღესასწაულისათვის ტრადიციული ქაღალდის გულებითა და ყვავილებით; გადაინაწილეს სამუშაო და დროულად რომ მოესწროთ ყველაფრის გაკეთება, ორი მათგანი ისტორიის გაკვეთილზეც „მუშაობდა“. მასწავლებელი დაინტერესდა, რით იყვნენ გართული მოსწავლეები. მასწავლებლის მკაცრი მოთხოვნის შემდეგ ერთ-ერთმა მოსწავლემ უამბო მას დაგეგმილი ღონისძიების შესახებ. პედაგოგმა მოსწავლეებს ნახატები ჩამოართვა და დახია. ამასთან, მოითხოვა, თავი შეეკავებინათ ამგვარი არატრადიციული დღესასწაულის აღნიშვნისაგან. ერთ-ერთი მოსწავლე, დღესასწაულის აღნიშვნის იდეის ავტორი, უხეშად შეეპასუხა პედაგოგს. მასწავლებელი გაბრაზდა და კლასიდან გავიდა მანდატურის მოსაყვანად. მარტო დარჩენილებმა ყველაფერში „ჩამშვები“ მოსწავლე დაადანაშაულეს. იდეის ავტორმა უხეშად ჰკრა მას ხელი. მოსწავლემ თავი ვერ შეიკავა, უხერხულად წაიქცა და ცხვირიდან სისხლი წასკდა. სიტუაციის განმუხტვის მიზნით, მანდატურმა გაიყვანა კლასიდან „ჩხუბისთავი“ და სთხოვა, სახლში წასულიყო.

რამდენიმე დღეში გაიმართა დისციპლინური კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განიხილეს მერვეკლასელთა შემთხვევა. კომიტეტმა გადაწყვიტა, სკოლიდან გაერიცხათ იდეის ავტორი „ჩხუბისთავი” მოსწავლე. ამასთან, სკოლის ტერიტორიაზე აიკრძალა მსგავსი ტიპის დღესასწაულების აღნიშვნა. კლასის დანარჩენ მოსწავლეებს, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, დაეკისრათ სამი კალენდარული დღის განმავლობაში დღეში ორი საათით სკოლის ეზოსა და ბიბლიოთეკის მოწესრიგება.

46. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესახებ არ არის კანონიერი.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

47. არსებული კანონმდებლობის თანახმად, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება სკოლის ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის ღონისძიებების აღნიშვნის აკრძალვის შესახებ კანონიერია.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

48. სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის მოსწავლეთათვის დაკისრებისას დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება კანონიერია.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✎

49. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, მასწავლებლის სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✎

50. აღწერილ სიტუაციაში მანდატურმა სრულად შეასრულა მასზე ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დაკისრებული მოვალეობები.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✎